ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 133
ივნისის 21, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 133
ივნისის 21, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ივანე სპირიდონის ძე და ოლღა სპირიდონის ასული ჯაბადარნი და ნინო სპირიდონის ასული ქართველიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი და მესამე მამის, ხოლო მეორე მამამთილის

სპირიდონ ივანის ძის ჯაბადარისას.

დასაფლავება დანიშნულია შაბათს, 21 ივნისს, სოფელს საგარეჯოში (2—2)

კვირას, 22 ივნისს, ავლაბრის პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ტერეზია რევაზის ასულის თეთრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა კოლეჟსკი სოვეტნიკი კონსტანტინე დიმიტრის ძე თეთრაძე შვილებითურთ.
(1—154—1)

20-ს ამ თვეს, უდროოთ გარდაიცვალა დაბა სურამში

პორუჩიკი აზ. დავით ილიას ძე მურვანიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისნი მშობელნი აზ. ილია ზურაბის ძე და მაკრინა ივანეს ასული, ცოლი გარდაცვალებულისა გაიანე ალექსანდრეს ასული, ძმები მიხეილ და ივანე მურვანიშვილები და და მისი დარია ილიას ასული ქებაძისა.

დაკრძალვა მოხდება დაბა სურამში, ორშაბათს, 23-ს თიბათვეს (2—1)

იყიდება იაფად

როიალი

არტილერიის ქუჩა № 5 ეზოში, ზემო სართულში.
ადრესი: „ჯეჯილის“ რედაქციაში.
(5—6—4)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. ღ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ღ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. ღ. ნასარიძე.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდია, რომ მწონავთა და კომერციულ კანტორების მოხელეთა თანამდებობაზე ამას იქით ნასწავლი და გამოცდილი კაცები გაამწესონ, ვისაც ოთხკლასიანი სასწავლებელი მაინც გაუთავებია. ამისთანა ნასწავლნი კაცები ჯერ კანდიდატებად ჩაირიცხებიან, იმსახურებენ უჯამაგიროდ, შემდეგ თვეში 10 მანეთი დაენიშნებათ და ბოლოს აღნიშნულ თანამდებობას მიიღებენ.

◆ მუხრანის ხიდის გამდები კომისია სთხოვს ქალაქის გამგეობას 2,000 მანეთს, რომელიც საჭიროა მტკვრის ნაპირებისა, ძირისა და მიმდინარეობის გამოსაკვლევად.

◆ კვირას, 22 ივნისს, ქალაქის ახალი საყასბო უნდა აკურთხონ ვერაზედ. კურთხევას დაესწრებიან ხმოსნები, გამგეობის წევრები, ექიმები და ბეითლები. საყასბო ელექტრონით იქნება განათებული, რასაც ხარჯად ეყოფა თურმე დღეში 2 მანეთი, ხოლო მოსაწყობად დასჭირდება 124 მანეთი.

◆ ქალაქის გამგეობის წევრი ნ. პ. კაჭკაჭოვი, რომელიც სამასწავლებლო კომიტეტში თავმჯდომარეობს, მოხსენებას ამზადებს, რომ ქალაქმა საკუთარი სახლები ააგოს სკოლებისათვის. ამისათვის შესაძლოდ ბ-ნ კაჭკაჭოვს მიაჩნია უნივერსიტეტის თანხიდან ისესხოს ქალაქმა 50,000 მანეთი და შემდეგ ყოველ წლივ იხადოს 10,000 მან.; ვიდრე ვალი არ გადასწყდება. ქალაქს ამაზედ ნაკლები არ ეხარჯება სკოლებისათვის კერძო სახლების დასაქირავებლად.

◆ რუსების მწერალი მაქსიმ გორკი უკვე ჩამოსულა ტფილისს.

◆ ქალაქის გამგეობასა და სამასწავლებლო კომიტეტს წაუკითხავს და მოუწონია საჩივარი, რომელიც ქალაქის საბჭომ უნდა მიართვას უმართებულეს სენატს იმის გამო, რომ ქალაქის მიერ შემუშავებული პროექტი სამასწავლებლო კომიტეტის ინსტრუქციისა საგუბერნიო მთავრობამ არ დაამტკიცა.

◆ ქალაქის სასწავლებელთა გამგებლების კრებაზე, 18 ივნისს, ა. ს. ბაბოვმა განაცხადა, რომ საჭიროა ქალაქის მასწავლებლებს ჯამაგირი მოემატოსო, რადგან 40—50 მანეთი თვეში მეტად მცირეაო. კრებამ დაადგინა ეს საკითხი ჯერ სამასწავლო კომიტეტმა განიხილოს და შემდეგ საბჭოს მოხსენდესო.

◆ შაბათს, 21 ივნისს, ქალაქის გამგეობასა, საფინანსოსა და წყალის კომისიებს წევრებს ბჭობა ექნებათ, როგორ მოახერხონ, რომ ქალაქს წყალი საკმაოდ მოსდიოდეს. ამისათვის საჭიროა მეორე მილიც დაიწყოს ავჭალიდან ქალაქამდე და ქალაქის აუზები გააფართოვდეს. ამას დასჭირდება თურმე 265.000 მანეთი. ეს საქმე ქალაქის საბჭომ ეხლავე უნდა განიხილოს ვიდრე ამ წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდებოდეს.

◆ ქალაქის საბჭოს კრებაზედ, 18 ივნისს, ბევრი რამ ახალი ამბავი გამომჟღავნდა.

ქალაქის ფანრები რომ ბჟუტავენ, თურმე იმის ბრალია, რომ ნავთი ცოტა ისხმის ლამფებში. ეს გარემოება გამგეობას კარგად მოეხსენება. წინად ხუთი ფუთი ნავთი მიდიოდა თითო ფანარზედ, ხოლო მერე შეამცირეს ხარჯი და მხოლოდ ოთხს და ნახევარ ფუთს ახმარებენ. ამას შემდეგ-კი ისევ წინანდელ კვალობაზედ მოხმარდება და ფანრებს სინათლე მოემატება.

ქუჩების მომრწყველთა რაზმი და ნაგვის მზიდავნი რიგიანად რო ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას იმის ბრალია თურმე, რომ იჯარადარს დაძაბუნებული ცხენები შეუკმაზია. ხოლო ქალაქის გამგეობას, ბ-ნ ენფენჯიანცის აზრით, ნება არა აქვს ძალა დაატანოს იჯარადარს და უკეთესი ცხენები აყიდვინოს.

ქალაქის საყასბოები რომ ხორცს აძვირებენ და მასთანავე ზარალობენ, ეგ იმის ბრალია თურმე, რომ საყასბოების გამგე კომისიას წევრთა სიმრავლე აწუხებს. საბჭომ გადასწყვიტა, ათის მაგიერ, 3 წევრი იყოს ამ კომისიაში. მაგრამ კომისიის წევრობას ხმოსნები შეუშინდნენ და, როცა არჩევანზე მიდგა, ყველამ უკან დაიხია. ამის გამო არჩევნები შემდეგისთვის გადასდეს.

ღმერთო, ნუ გვიწყენ და ამისთანა ამბები კაი საოხუნჯო მასალაა.

◆ იმ მაისურაძის ქვრივი, რომელიც წარსულ მაისის თვეს იმსხვერპლა აზვირთებულმა მტკვარმა ყორღანაშვილის მამულის ბოლოზედ, მეტად გაჭირებულია თავის ორის მცირე წლოვანის შვილით. იმდენი სახსარი არა აქვს, რომ სოფელში წავიდეს. ზოგიერთები ურჩევენ ბ-ნ ყორღანაშვილს უჩივლეო, რადგან განიზრახა მტკვრისთვის ნაჭერი მიწა წაერთმია და საშუალება-კი არ უხმარია, რომ სახიფათო ნაპირი შეეკრა.

◆ რადგან კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში სხვა-და-სხვა ნაირი ღვინო მზადდება და რადგან ტეხნიკა ღვინის მომზადებისა და მევენახეობისა ერთნაირი არ არის ყველგან, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საუმჯობესოდ სცნო მევენახეთა და ღვინის დამყენებელთა კრებაზედ წარმომადგენლნი გაიგზავნოს პეტერბურგს, როგორც ტფილისისა, ისე ქუთაისისა, ერევნისა და განჯის გუბერნიებიდან. ამის გამო გუშინ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მისწერა საზოგადოების ქუთაისისა, ერევნისა და განჯის გუბერნიებიდან. ამის გამო გუშინ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მისწერა საზოგადოების ქუთაისისა, ერევნისა და განჯის განყოფილებებს და დაავალა შუამდგომლობა აღძრან მიწათ მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ იმათ ნება მიეცეთ თავიანთი წარმომადგენლებიც გაჰგზავნონ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განუმარტა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, რომ პირველ კლასში უმთავრესად უნდა მიღებულ იქმნან ის ტფილისელნი, რომელნიც გაათავებენ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს. გუშინ დირექტორმა შეატყობინა გამგეობას, რომ ამ განკარგულების განხორციელება ძნელიაო. მოსწავლენი, რომელნიც ქალაქის სკოლებში ათავებენ სწავლას, ერთნაირ მოწმობებს იღებენ. როცა ბევრია მთხოვნელი და მიღება კონკურსით ხდება, მაშინ ძნელია იმის გადაწყვეტა, ვის მიეცეს უპირატესობა, რადგან, ერთნაირ მოწმობებს გარდა, არც არის აღნიშნული მოწმობაში ბავშვი ქალაქის მცხოვრებია თუ არა. დირექტორმა სთხოვა გამგეობას ხელმძღვანელობა გაუწიოს და აცნობოს, როგორ მოიქცეს მოსწავლეთა მიღების დროს, აგრეთვე განუმარტოს, ვინ არიან ტფილისის მკვიდრნი, რომელთა შვილებსაც მიღების დროს უპირატესობა უნდა მიეცეთ.

◆ გუშინ-წინ, 19 ივნისს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების მიხეილ კალანდარაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ კალანდარაშვილს გადაუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და კატორღაში 4 წლით გაგზავნა. პალატამ შეუცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ სადგურ ჯაჯუზე (ყარსის გზა) 17 ივნისს შემდეგი უბედურება მომხდარა: ნაშუადღევის სამ საათზედ ასტყდა ელვა და ქუხილი, რომელსაც მოჰყვა ძლიერი ქარი და დიდი წვიმა. ერთის საათის შემდეგ ცამ ისევ მოიწმინდა, მაგრამ ამ მოკლე ხნის წვიმამ იმსხვერპლა სამი კაცი ესენი იყვნენ სოფელ სარიარში მცხოვრებნი, რომელნიც სჭრიდნენ ქვას და ურემზედ ალაგებდნენ სადგურზე ჩამოსატანად. დიდის წვიმის დროს ურემს ქვეშ შემძვრალან, მაგრამ დაეცათ თურმე მეხი; ორი იქვე დაიწვა: ხოლო ერთი ცოცხალ-მკვდარი მიიტანეს სახლში.

◆ გუშინ-წინ, 19 ივნისს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სტეფანე გურგენიძისა, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს გურგენიძე უდანაშაულოდ უცვნია. პალატაში პროტესტი განუცხადებია სასამართლოს განაჩენზე ბრალმდებელს. პალატამაც უდანაშაულოდ იცნო გურგენიძე.

—

◆ ქ. სოხუმს ნავთ-სადგურის შემოსავლიდგან მთავრობამ 93,000 მანათი დაუნიშნა.

◆ გორელები სცდილობენ, რომ ტფილისიდგან გორს გადიტანონ კადეტის კორპუსი და საჭირო ადგილსაც ჰპირდება ქალაქი. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კადეტის კორპუსი ვერა შოულობს ტფილისში შესაფერს ადგილს, რომ საკუთარი სახლი ააგოს.

◆ სოფ. კისისხევის (კახეთი) მცხოვრები იოსებ მანგოშვილი 13 ივნისს, მუკუზანის სადგურს ახლო, სამს ავაზაკს გაუცარცვავს.

◆ სადგურ ბელაგორის მცხოვრები მელიტონ კიკნაძე მიხტომია რკინის გზის მეხანიკს იაკობ ანტონოვს და რკინით თავი გაუტეხია. ანტონოვი რომ საავადმყოფოსკენ მიდიოდა, გზაში კიკნაძის ძმა ნიკოლოოზი შეხვედრია და იმასაც თავში ჯოხი დაუშენია. ორთავე ძმები შეიპყრეს, ხოლო ანტონოვი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს ტფილისს.

◆ სოფ. სბას (ქართლი) მცხოვრებნი კიკა და ტომბოთ აბაევები ცხენებით ცხინვალს მიდენილან 14 ივნისს. გზაში ორი შეიარაღებული ყაჩაღი დახვედრიათ—ფიდო ქოქოშვილი და გარსევან თედეშვილი, გაუცარცვავთ და ცხენების წართმევაც ნდომებიათ, მაგრამ სხვა მიმავალი ხალხი შეუნიშნავთ და გაქცეულან.

მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე
და
დღევანდელი სამღვდელოება.

ერთ შესანიშნავ მოძღვრად საქართველოს საეკლესიო ისტორიაში უნდა ჩავთვალოთ უკანასკნელ ორ გვირგვინოსან მეფეთა ერეკლესი და გიორგის კარის მოძღვარი ქრისტეფორე ბადრიძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სტამბის გადმოტანით ⁊ მრავალ საეკლესიო წიგნის ბეჭდვითა და გავრცელებითა. ეს დაუღალავი და ფრიად შესანიშნავი მუშაკი-მოძღვარი იყო წინაპარი იმ აზნაურ ბადრიძეებისა, რომელნიც დღეს მოსახლეობენ ს. ნორიოში, ტფილისის მაზრაში, 20 ვერსის სიშორეზედაა ქ. ტფილისიდგან.

მეფე გიორგი XIII-ის დაუსაჩუქრებია როგორც მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე წყალობის წიგნითა და სიგელითა ერთგულობისა და დიდი სამსახურისათვის, ისე მისი ძმა ნაცვალი ნიკოლოზ, შვილნი ქრისტეფორესი დიონის და პანტელეიმონი, შვილის შვილი იოანნე და ძმის წულნი: პეტრე, იოსებ, დავით, სოლომონ, აბრამ და ჩამომავალნი მისნი.

როდესაც მეფე ერეკლე II-ს გაულაშქრია ერევანზედ, მღვდელი ქრისტეფორე მეფის ლაშქარს თან გაჰყოლია და თავ-დაუზოგველად უმსახურნია, როგორც მეფისათვის ისე მისის ჯარისათვის. მეფე ერევნიდგან ძლევა მოსილი დაბრუნებულა და საეკლესიო საქმეების მართვისათვის მიუყვია ხელი. უსტამბობისა გამო საეკლესიო წიგნები ხელთნაწერები იყო, ამიტომ რიცხვი ხელნაწერ საეკლესიო წიგნებისა ფრიად მცირე იყო.

მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე პალესტინაში გაემგზავრება, შეისწავლის იქ ენებს, სტამბის საქმეს დაბრუნდება ტფილისს; სტამბას მშვენივრად მოაწყობს 12000 სამღთო წიგნს დაბეჭდავს.

მეფე ერეკლე საოფლისაგან ავად ხდება, ყველა ერიდება და ეშინიან სახადის გადადებისა, ქრისტეფორე მღვდელი-კი ამას არ შეუდრკება,

თავს გამოიმეტებს, ორმოცი დღე და ღამე თავდადებით ავადმყოფ მეფის მძღვაში გაატარებს და ემსახურება. მეფე განიკურნება სენისგან, მაგრამ საქართველოს უფრო მომეტებული მწუხარება და შავი დღე მოელის; ეს დღე უკანასკნელი სჩანთქავს ყოველსავე მის დიდებას და ძლიერებას. შემოესევა ტფილისს მრისხანე აღა-მამად-ხანი, აიღებს და დასწვავს, როგორც ქალაქს, ისე ახლად მოწყობილს სტამბას, მრავალ ქართველს დაატყვევებს და ბევრს ამ ტყვეთაგანს გაუგზავნის განჯის ხანსა.

შემდეგ ამისა მეფე ერეკლე განჯის ხანზედ გაილაშქრებს, ციხეს გარს შემოერტყმის, განჯას დაასწვავს, ააოხრებს, ქართველ ტყვეებს მრავალს გაანთავისუფლებს და მთელს სახანოს ხარკს დაადებს. ამითი არ დაკმაყოფილდება მამაცი და მასთანავე შორსმჭვრეტელი მეფე. გაჰგზავნის თავის ჯარის უფროსს იოსებს განჯის ციხეში, თან გააყოლებს თავგანწირულ მღვდელს ქრისტეფორესაც, რომელნიც განჯის ციხეში სახლებსა და დუქნებს დაივლიან და სამ წყობად გამოიყვანენ იქ დამალულ ტყვეებს, 700 ქრისტიანს.

მცხეთაში დიდი ჭირიანობა გაჩნდება. ამ დროს მეფე ერეკლეც თელავში გარდაიცვლება. დიდძალი ხალხი გლოვითა და გოდებით მოასვენებენ მცხეთამდე თავის საყვარელ მეფეს, მაგრამ თვით მცხეთაში-კი ვერავინ გაჰბედა შესვლა მცხეთელებისა და მღ. ქრისტეფორეს მეტმა.

განვლო რამდენმამე დრომ და მეფე გიორგის ეწვია სტუმრად 6000 ჯარის კაცი დაღესტნიდნიდგან, მეფე გულით და სულით მოწადინებული იყო ხელ-ცარიერი არ გაესტუმრებინა თვისი სტუმრები და სპილენძეულობით მაინც დაესაჩუქრებინა, რადგან მის დროს საქართველო მდიდარი იყო სპილენძის მადნებითა, მაგრამ მომუშავე ოსტატ ბერძნებს შეშინებოდათ ჭირიანობისა, დაენებებინათ თავი მადნებისათვის და საჩქაროდ გახიზნულიყვნენ მთა-ბარში. ამ დროს მეფის ბედზედ გაჩნდება ბერძნულ ენის ზედმიწევნით მცოდნე მღ. ქრისტეფორე ბადრიძე, შეჰკრებს მადნების ოსტატთ და დააყენებს საქმეზედ. ამ საშუალებით მოწყაზე მასპინძელს მეფე გიორგის ეძლევა საშუალება დაღესტნის ჯარი დიდის პატივითა და საჩუქრებით გაისტუმროს თავისას.

გარდა ამისა მღ. ქრისტეფორე ხელმეორედ მოაწყობს აღა-მამად-ხანისაგან გადამწვარ და აოხრებულ სტამბას ტფილისში. ამ სამსახურისათვის და ერთგულობისათვის მეფე გიორგი დაასაჩუქრებს მღვდ. ქრისტეფორე ბადრიძეს ზემო ნორიოში ხუთი საკომლო მამულითა, ნავენახობებით, სახნავით, სათესით, წყლით, წისქვილით, მთით, ბარით და თავისის სამართლიანის სამძღვრებითა. სიგელშია აგრეთვე მოხსენებული: „როგორც კურთხეულს მამა ჩვენს მეფე ერეკლეს. მარტყოფის ნაცვლობა ორსავე ხევისა თქვენთვის უბოძებიათ, ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია, დაგვიბოძებია სიგელით, რომ არასოდეს შენის სახლიდგან ნაცვლობა არ მოიშალოსო“.

გარდა ამისა ქრისტეფორე მღვდელს მეფე ავალებს „რათა სამსახურად დაიდვას: წლითი-წლად თერთმეტ იანვარს, რომელ დღესაც მეფე ერეკლე მიიცვალა, ბადრიძის ჩამომავლობა მივიდეს მცხეთას, იმ დღეს ორ მღვდელს და ერთს მთავარ დიაკონს აწირვინოს მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად, მწირველთ ჯეროვანი სადილი აჭამოს და სამივეს რვა აბაზი საწირავი მისცეს.

ეს წყალობის წერილი უბოძებია მეფე გიორგი XIII მღვ. ქრისტეფორე ბადრიძისათვისაც საშვილიშვილოდ ჩღჟთ წელსა)1798 წ.) დეკემბრის კბ დღესა, ქრონიკონსა უპზ სა, რომელიც არის შემოწმებული მეფის ხელის მოწერითა და დედოფლისა, მათი შვილების: დავით, იოანნე, ბაგრატ და თეიმურაზის ბეჭედთა დასმითა.

(შემდეგი იქნება).

რა სახისა უნდა იყოს საზოგადოდ სახალხო სკოლა და როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ სხვაგან?

„მოგზაურის“ მეშვიდე-მერვე ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ წერილი, რომელშიაც საკმაოდ ვრცლად განვმარტეთ, თუ რას უნდა ასწავლიდნენ ჩვენს სახალხო სკოლებში და რა სახით უნდა განაწილდეს ეს სწავლა სამშობლოსა და რუსულს ენას შორის. ვისთვისაც საინტერესოა ეს საგანი, ვსთხოვთ მოხსენებულს წერილს მიმართოს, ახლა-კი საჭიროთ ვრაცხთ შევეხოთ იმას, თუ რა სახისა უნდა იყოს საზოგადოთ სახალხო სკოლა და როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ სხვაგან.

ბევრსა ჰგონია, რომ რამდენადაც მეტს ხანს იჯდება მოსწავლე კლასში, რამდენადაც მეტს ხანს ამეცადინებენ მოსწავლეებს წიგნურს სწავლაში, იმდენად მეტს სწავლასა და ცოდნასაც შესძენენ, მაგრამ ინგლისის პროფესორის პეჯეტის შესანიშნავმა გამოცდამ ყველანი თვალ-ნათლად დაარწმუნა, რომ ხანგრძლივი წიგნური მეცადინეობა ხშირად სრულიად წინააღმდეგ მოქმედობს ბავშვებზედ: ასუსტებს არა თუ მარტო ფიზიკურად, არამედ გონებითაც. აი, შესანიშნავი გამოცდა პროფესორისა.

რომ ნამდვილად დარწმუნებულიყო თუ რაოდენად ჰქანცავს და აღუნებს მოსწავლეებს აწ არსებული მეცადინეობა სკოლებში, პეჯეტმა, რომელიც კმაყოფილი არ იყო თავის კლასის მოსწავლეების სწავლა-ცოდნით, გაჰყო კლასი ორ ჯგუფად: ერთს ჯგუფს ამეცადინებდა იმდენს ხანს, რაც დაწესებული კანონით, ხოლო მეორე ჯგუფს ასწავლიდა მარტო მის ნახევარ დროს, დანარჩენს ხანს-კი ეს უკანასკნელნი მოსწავლენი წმინდა ჰაერზე თამაშობაში ატარებდნენ. ახლა რა აღმოჩნდა წლის ბოლოს? აღმოჩნდა, რომ მოსწავლენი, რომლებმაც მარტო ნახევარი დრო ისწავლეს, უფრო მცოდნენი და ბეჯითნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ის მოსწავლენი, რომლებსაც დადგენილს დროს უკლებლად ამეცადინებდნენ და ასწავლიდნენ.

ამითი ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ მარტოოდენ ხანგრძლივი წიგნური მეცადინეობა კლასში ვერაფერი თავდებია იმისა, რომ მოსწავლე უეჭველად უფრო უკეთ ისწავლის, უკეთ გაიხსნება, უკეთ განვითარდება. გვითქვამს და კვლავაც ვიტყვით, რომ მარტოოდენ წიგნურ მეცადინეობით თანამედროვე სკოლა ყოვლად უკუღმართად აწარმოვებს მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, თვისის დღევანდელ წეს-წყობილებით და ტრადიციით თანამედროვე სკოლა ისეთსავე განდეგილებს გვიზრდის ცხოვრებისას, როგორც ოდესმე ცუდად გაგებული ქრისტიანობა. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ძველის დროის განდეგილი ყოველის ღონისძიებით გაურბოდა ჩვეულებრივ საზოგადოებას, რომ ხელშეუშლელად ემოღვაწნა ღვთისადმი ლოცვა-დიდებაში, ხოლო დღევანდელი განდეგილი ცხოვრებისა მოკლებულია ამ ნუგეშსაც: იგი ჭირსავით გაურბის საერთო ცხოვრების უღელში შებმას. გაურბის ცხოვრებაში მუშაობა-მოღვაწეობას, ოჯახის მოკიდებას, შვილების ყოლა-აღზრდას და სხვა. თანამედროვე სკოლა სდგას ყოვლად განკერძოებულად ცხოვრება-ბუნებისაგან, თითქოს იგი ღვიძლი შვილი-კი არა, და გერი იყოს მისი..

სწორედ რომ ასეთისავე სკოლების გავლენით და აღზრდით აიხსნება ის სამწუხარო ამბავი, რომ ჩვენშიაც და რუსეთშიაც დღევანდლამდე არ ისპობა იმ აზრის ქადაგება, რომ სახალხო სკოლა მარტოოდენ წიგნურს სწავლა-აღზრდას უნდა ემსახურებოდეს, მარტო წიგნს უნდა ჩასჩიჩინებდეს მოსწავლეებს მთელ ოთხ ხუთის წლის განმავლობაში და სხვა არაფერსაო. ამას ჰქადაგებდნენ ჩვენი მწერლები უწინ და ამასვე ჰქადაგებენ დღესაც ბევრნი.

ცხადზედ ცხადია, რომ ამათ სრულიად არ ესმით საზოგადოდ ადამიანის სწავლა-აღზრდის აზრი და დანიშნულება, არ იციან მთავარი მოთხოვნილება პედაგოგიისა და უმეტეს თანამედროვე ცხოვრებისა, არ იციან, ან არა ჰსურთ გაიგონ და დაინახონ, რომ ცხოვრება თანდათან შესანიშნავის სისწრაფით წინ მიდის, ძნელდება, რთულდება, საჭირო ხდება ადამიანის ყოველ ძალთა მოხმარება რომ მშიერი და უსაქმო არ მოკვდე სადმე ბნელსა და ნესტიანს სარდაფებში, არ იციან და არც ჰსურთ გაიგონ, რომ მარტოოდენ წიგნური სწავლა სრულიად ამახინჯებს ადამიანის ბუნებას, ახშობს მის ბუნებრივ გრძნობასა და გონების ბუნებრივ ნიჭსაც. ამათ არა ჰსურთ დაინახონ, რომ ადამიანი ღვიძლი შვილია ბუნება-ცხოვრებისა და ამიტომ ყოვლად დამღუპველია ის სკოლა და აღზრდა, რომელიც არა თუ უახლოვებს მოზარდ თაობას ამ ბუნება-ცხოვრებას, არამედ, პირიქით, სრულიადაც აშორებს... ავიწყდებათ, რომ ცხოვრება იგივე შრომა და მუშაობაა, რომ ეს ორი ცნება განუყრელი ძმები არიან, რომ სადაც შრომა და მუშაობა არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ სიკვდილია, აზიურად ბურანში ყოფნაა..

ყველა ეს აქ იმან გვათქმევინა, რომ მეტად უწესურად და არა ბუნებრივად, ცხოვრებასთან არა შესაფერად არის მოწყობილი სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს დღევანდელს სახალხო სკოლაში. აუცილებლად საჭიროა მოვაწყოთ სწავლა სკოლებში ბუნებრივად და ცხოვრების შესაფერად არა მარტო სამშობლო ენაზე ამ სწავლის მოწესრიგებით, არამედ სხვა მხრივაც. ეს სხვა მხარე, ჩვენის აზრით, არის ორის აუცილებელის ელემენტის შეტანა ჩვენს სახალხო სკოლებში: 1) წიგნური ანუ სამეცნიერო ელემენტის სწავლების შეტანა, რომლის მოწყობის გეგმა ჩვენ სავსებით დავხატეთ „მოგზაურის“ მეშვიდე-მერვე ნომრებში და 2) სამეურნეო-სახელოსნო-სამრეწველო ელემენტის შეტანა, რომლის საჭიროებას ხმა მაღლა ჰღაღადებს ჩვენი ყოველი საჭიროება და მოწინავე ერთა დრტვინვაც (იხ. პრესა „ცნობის-ფურცლისა“ და „ივერიაში“, 12 ივნ. 1903 წ.).

მარტოოდენ წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლების მომხრეებმა, ეტყობათ, არ იციან, რომ სამეურნეო-სახელოსნო სწავლება დღეს ისეთივე სავალდებულო საგანია, მაგალითად, საფრანგეთის ყველა სახალხო სკოლაში, როგორც წერა-კითხვა და ანგარიში. საფრანგეთი-კი, როგორც გაგონილი ექნება მკითხველს, პირველი ქვეყანაა სიმდიდრე-შეძლებით, რომლის შეძენაში, ეჭვი არ არის, მცირე წილი არ უძევს მოხსენებულ სამეურნეო-სახელოსნო სავალდებულო სწავლებას მის სახალხო სკოლებში.

მაგრამ დრო არის გადვიდეთ თვით ჩვენს საგანზედ. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ყოველი სახალხო სკოლა (სასოფლო და სამოქალაქო) მარტო მაშინ შეიქნება ნამდვილ სახალხო სკოლად, როცა იგი ყოვლად დამოუკიდებელი იქნება ნივთიერად და სხვა გვარადაც. როცა იგი ისე იქნება მოწყობილი, რომ მისი ყოველი კარგი და ავი, მისი ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა, მისი ყოველი წარმოების და შემოსავლის გადიდება და თვით მასწავლებელთა და მასში მყოფ საზოგადოთ ყველა მოსამსახურეთა კეთილ-დღეობა თვითონ სკოლისა და ამათის უნარზედ, ამათის განუსაზღვრელს ერთგულს მოქმედებაზედ იქნება დამყარებული. დღევანდელი სახალხო სკოლები-კი ნამდვილი მონური, საწყალ გლახს მსგავსი და მასსავით მარტო სხვის შემცქერელი, ნამდვილი ბიუროკრატიული დაწესებულებაა. დროა შევიგნოთ, რომ სახალხო სკოლა არის ის დაწესებულება, სადაც უნდა იზრდებოდეს მთელი ხალხი, მთელი მისი დიდი და მოზარდი თაობა და ამიტომ ყოვლად ძალოვანიც უნდა იყოს, რომ პირნათლად შეეძლოს თავის, ამ დიად დანიშნულების შესრულება. ეს კი მაშინ იქნება, როცა ყოველი სახალხო სკოლა მესაკუთრე იქნება, სულ უკანასკნელი, ხუთი ან ათი დესეტინა მიწისა. სახალხო სკოლა ჩვენ მიგვაჩნია სოფლის თუ ქალაქის იმავ ოჯახად და როგორც ასეთს ელემენტს, აუცილებლად საჭიროა, რომ, იმასაც იმდენი მიწა ჰქონდეს მიზომილი, რამდენიც ყოველ საშუალო ოჯახს მაინც აქვს სოფელში. ასეთს გარემოებასა და პირობებში, სახალხო სკოლაც, ვითარცა ყოველი სხვა ოჯახი, აუცილებლადვე მოვალეა თვითონვე ისე მოაწყოს თვისი ყოველი სამეურნეო საქმე, რომ საკუთარივე უნარით და შრომით დაიკმაყოფილოს თვისი ყოველი სამეურნეო საქმე, რომ საკუთარივე უნარით და შრომით დაიკმაყოფილეს თვისი ყოველი მოთხოვნილება და საჭიროება, ე. ი. სკოლამ ისე უნდა აწარმოვოს სწავლა და მასთან მეურნეობა-ხელოსნობა მრეწველობა ამ ათ დესეტინა მამულზედ, რომ მისი შემოსავალი სავსებით ჰყოფნიდეს არა მარტო მასწავლებლების ჯამაგირების უხვად გასტუმრებას, არამედ თვით მოსწავლეთა ჭამა-სმის გასტუმრებასაც, რადგანაც, ჩვენის გეგმით, მოწესრიგებული სახალხო სკოლა აუცილებლად ითხოვს, რომ მოსწავლენი მთელს დღეს (რვა საათს მაინც) უთუოდ სკოლაში ატარებდნენ და, გარდა ამისა, ესენიც ხომ პირდაპირნი მწარმოებელნი არიან სკოლის ამ საერთო საქმისა და შემოსავლისა და, მაშასადამე, ღირსნიც ამ ჭამა-სმისა (საუზმისა და სადილისა)...

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ, თუ სახალხო სკოლის მოხსენებულს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობას შესაფერად მოვაწყობთ და ვაწარმოვებთ სკოლის ათ დესეტინა მიწაზედ, მაშინ სკოლას ყოველ წლივ ათი-ათასი მანეთი მეტი ექნება შემოსავალი და ეს კი სრულიად საკმაო იქნება მის ყველა მოთხოვნილების და საჭიროების უხვად დასაკმაყოფილებლად... არა გჯერათ ეს? გაიხსენეთ ის ამბავი, რომ პარიჟში არსებობს იდიოტების სკოლა, რომელშიაც თუმცა დღეში მარტო ნახევარ საათიდამ დაწყებული, ვიდრე ოთხ საათამდის ამუშავებენ ბავშვებს სხვა-დასხვა ხელოვნებაზედ, ამ სკოლას მაინც ყოველ წლივ მათგან გაკეთებულ ნივთების გაყიდვიდან შემოსდის 26 ათასი ფრანკი, რომლიდამაც 17 ათასი ფრანკი იხარჯება სკოლის მასწავლებლების ხარჯის გასტუმრებაზედ და ნაღდი რჩება 9 ათასი ფრანკი! ეს იდიოტთა სკოლაში!.. რაღას უნდა მოველოდეთ გონებით და სხეულით სრულად ჯან-საღ ყმაწვილებიან სკოლაში, თუ კი ყველაფერს წესიერად და ბუნებრივად მოვაწყობთ ათი ათასი კი არა, ოცი ათასი მანეთიც ცოტა იქნება, რომ ვსთქვათ მისი მთელი შემოსავალი, თუ სკოლას ათი დესეტინა მიწა მივეცით. აი მცირე მაგალითიც: რუსეთის საიმპერატორო-ბაღოსნობის საზოგადოებამ ამას წინად დააჯილდოვა სოფელ ტალიცის სკოლის (ვლადიმირის გუბერნიაში) მასწავლებელი ზუიკოვი მისთვისა, რომ მან ერთ დესეტინა მიწაზედ, მოსწავლეების შემწეობით, გააშენა ვაშლისა და ალუბლის 145 ხე, 1350 სხვა-და სხვა ხილის ბუჩქი, 7000 ძირი მარწყვი და მოაწყო კარგათ ბოსტანი და სათბურები (პარნიკი), რომლებიდგანაც სკოლას საზოგადოდ აქვს ყოველ-წლივ შემოსავალი ათას მანეთზე მეტიო.

ერთის სიტყვით, ბევრი დამტკიცება არ უნდა იმას, რომ მცდელ და შეგნებულ მასწავლებლებს მუდამ ისე კარგათ შეუძლიანთ მოაწყონ ორივე მოხსენებული საქმე სკოლაში, რომელსაც აქვს ხუთი ანუ ათი დესეტინა მიწა, რომ ადვილათ გაუძლევებიან სკოლის ყოველ-გვარ ხარჯსა და მოთხოვნილებას. დრო კია, ღმერთმანი, შევიგნოთ, რომ ბევრი არაფერი სახელი და დიდებაა იმ სამეურნეო სასწავლებლებისათვის და სხვა სკოლებისთვისაც, რომელთაც მიწაც საკმაოდ აქვთ და სხვა საშუალებაც, მაგრამ თავიანთ უმაქნისობით და საქმის უცოდინარობით და შეუგნებლობით მთელ ათას მანეთობით ჰხარჯავენ ყოველ წლივ მთავრობისა და საზოგადოების ფულებს, თითქოს ეს მუდამ ასე უნდა იყოს... ასეთი სკოლები ღირსნი არ არიან ატარონ ეს წმინდა სახელი, რადგანაც ესენიც იმ კანცელარიებს და სხვა ბიუროკრატიულს დაწესებულებებს ეკუთვნიან, რომლების თვალნი და ხელნი მუდამ მხოლოდ საზოგადო ხაზინისაკენ არის მიმართული, აბა ოცისთვის უთუოდ მზად გვქონდეს ჯამაგირებიო!..

ჩვენ მიერ დასურათებულ სახალხო სკოლას დასჭირდება ხუთი მასწავლებელი: ერთი მასწავლებელი მეცნიერებათა, იგივე ზედამხედველი სკოლისა, მეორე მასწავლებელი მეცნიერებათა, მესამე მასწავლებელი—აგრონომი და მეოთხე მასწავლებელი ხელით შრომისა (учитель ручнаго труда) და მეხუთე—რჯულის მასწავლებელი.

მოსწავლეთა რიცხვი თითო მასწავლებელზე შეიძლება ვიანგარიშოთ 30, ე. ი. სულ 120 მოსწავლე ასეთს სასწავლებელში მიიღებიან მოსწავლენი რვა-თორმეტი წლისანი. წიგნური სწავლა უნდა იწყობოდეს ჰავისა და ადგილ მდებარეობის მიხედვით, პირველ ღვინობისთვიდამ ანუ გიორგობისთვიდამ, ე. ი. მაშინ, როცა სოფელში სწყდება სამეურნეო საქმენი, და გრძელდებოდეს პირველ მარტამდის ანუ აპრილამდის, აგრეთვე ჰავისა და ადგილ-მდებარეობის მიხედვით; ე. ი. როცა სოფელში იწყობა მუშაობა მინდორ-ბაღებში, ამ დროს განმავლობაში მოსწავლენი ყოველ დღე რომ ორ საათს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობის სწავლას ანდომებენ, ოთხ-ხუთ საათს წიგნურს სწავლას უბეჯითებენ, რადგანაც სიცივის გამო სამეურნეო საქმე ამ დროს თითქმის რომ სულ არ არის. ხოლო პირველ მარტიდამ ანუ აპრილიდამ, ვიდრე პირველ ღვინობისთვემდის ანუ გიორგობისთვემდის-კი სწავლა უმეტესად უფრო მინდორ-ბაღებსა და სახელოსნოებში უნდა სწარმოებდეს, ე. ი. ყოველ დღე ორი საათი რომ წიგნურს სწავლას ანდომებდნენ მოსწავლენი, ოთხ-ხუთს საათს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობას უნდა უბეჯითებდნენ, რადგანაც ეს დრო მართლაც რომ ასეთის საქმეების დრო არის.

ასეთი მოწესრიგებული სახალხო სკოლა კიდევ იმით იქმნება კარგი, რომ თუ სკოლაში ოთხი წლის სწავლა იქმნება დანიშნული, მაშასადამე, სკოლას ექმნება ოთხი განყოფილება და რომ თვითოეულ მასწავლებელს მეცნიერებისას ორ-ორი განყოფილების სწავლა არ ამძიმებდეს ერთ და იმავე დროს, გაკვეთილები ორივე ელემენტისა ისე განწესდება, რომ, როცა ორი მასწავლებელი წიგნს ასწავლიან ორს განყოფილებას კლასებში, დანარჩენს ორს განყოფილებას ასწავლიან მინდორ-ბაღებში და სახელოსნოებში მასწავლებელი—აგრონომი და ხელით შრომის მასწავლებელი. ადვილი იქმნება აგრეთვე მოწეს-რიგება ასეთს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთათვის და საზოგადოდ მოზრდილებისათვის სპეციალურის კურსებისა, ე. ი. სამეურნეო-სახელოსნო-სამრეწველოსი, რათა მსურველთ შეეძლოთ ზედ-მიწევნით შესწავლა და გავარჯიშება მოხსენებულს დარგებში. თქმა არ უნდა, რომ იმავ დროს მასწავლებლები ამათთვინაც დაჰნიშნავენ ორიოდე საათს დღეში მეცნიერებაში წარსამატებლად, რაზედაც მასწავლებლებს სკოლა სიამოვნებით დაუნიშნავს ცალკე სასყიდელს, რადგანაც ექნება კიდეც, საიდანაც დაუნიშნოს. გვგონია, არც ის იქმნება სინამდვილეს მოკლებული, რომ ჩვენის შეძლების პატრონი სახალხო სკოლა სრულიად ადვილად და მალე გადაიქცეს ნამდვილსავე სახალხო საშუალო სკოლად, როგორც ეს არა იშვიათია ინგლისში!..

ჩვენს სახალხო სკოლაში მეორე ელემენტის, ე. ი. მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობიდამ განსაკუთრებით იმ დარგებს უნდა მიექცეს ყურადღება, რაც შეადგენს ადგილობრივ ხალხის უპთავრეს საქმეს და აგრეთვე ყველა იმას, რის დაბუნებებას, მოყვანას და გაკეთებას შეაძლებინებს ადგილი და ჰავა. უპირველეს ყოვლისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პურის, სიმინდის, ქერის და ფეტვის თესვა-მოყვანას, საუკეთესო საბოსტნე მცენარეების და ხეხილის გაშენებას განკარგების წესით. პური უსაჭიროესი საგანია ყოველის ოჯახისათვის და ამისათვის მის თესვა-მოყვანაც და გამოყენებაც უთუოდ ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა უნდა ნახოს კიდეც და ზედ-მიწევნითაც შეისწავლოს ხანგრძლივის სწავლითა და მუშაობითა. ზედ-მიწევნითვე უნდა შეითვისონ მოსწავლეებმა ის აზრი, რომ ყოველი ნაწარმოები მეურნემ მის უკანასკნელ დამუშავებამდე უნდა დაამუშაოს და მხოლოდ მაშინ გაიტანოს იგი ბაზარში, როგორც, მაგ., ყურძენი, ღვინის, ბაქმაზის, ჩურჩხელის, ჩამიჩის და სხვა სახით, ხილი-მურაბის, კონსერვების, წნილების, გამხმარ ხილის სახით და სხვა-დასხვა. რადგანაც ხორბლიდამ მაშინ ცხვება კარგი პური, როცა იგი ახლად დაფქვილია, ამიტომ ყოველ ასეთს სკოლას თან ხელით საფქვავი მანქანაც უნდა ჰქონდეს, ფქვილს შინვე ამზადებდეს თითონ სკოლა გამოაცხობის წინა დღეებში და თითონვე აცხობდნენ, რომ მოსწავლეებმა ყველა ეს ნახონ და ისწავლონ. ასეთის ხელ-საფქვავის მანქანის შემოღება უნდა უქადაგოს და ასწავლოს სკოლამ ყოველ ოჯახს ანუ რამდენსამე მეზობელს ერთად და ვინც მოინდომებს მის გამოწერას, შუამავლობაც გაუწიოს. ასევე ყველა საქმეში. ერთის სიტყვით, სახალხო სკოლა უნდა შეიქმნეს ისეთსავე ცოცხალ და საქმიან დაწესებულებად, როგორც ყოველი ქარხანა, ბანკი და სხვა დაწესებულება, იმ დიადის განსხვავებით, რომ იგი უმეტეს კაცთ-მოყვარეული და საზოგადო სიკეთისათვის მარად მოღვაწე დაწესებულება უნდა იყოს და ყოველ თვის წარმატებას, ნივთიერს თუ გონებრივ-ზნეობრივს, მხოლოდ ამ მიმართულებით აღბეჭდავდეს...

დააარსეთ, ბატონებო, ასეთი სახალხო სკოლები, დაეხმარეთ მათ პირველად ყველანი—სოფელი, ქალაქი, მდიდარი და ღარიბი, მთავრობა და ხალხის ყველა მოყვარენი და ნახავთ, რომ ოთხი-ხუთის წლის შემდეგ, პირიქით, ახლა იგი დაეხმარება ყველას კაცურის აღზრდის და სწავლის გავრცელებით მის არსებობის მიდამოებში. მოაწყევით ასე ჩვენმიერ დასურათებული სკოლები და ნახავთ, რომ შედარებაც შეუძლებელი იქნება თქვენი გლახური წიგნური სკოლებისა ჩვენ სკოლასთან! ნახავთ, რომ მარტოოდენ ჩვენი სკოლა იქნება ნამდვილი სახალხო სკოლა, რადგანაც, ჯერ ერთი, რომ ნამდვილს ღირსეულს შვილებს დაგვიზრდის ხალხისას და, მეორეც, თვით ხალხისათვის საუკეთესო სასწავლებელი იქმნება.

სკოლის ყოველი მოსავალი ვალდებულად უნდა დაზღვეულ იქმნას სეტყვისაგან და შენობანი—ცეცხლისაგან, ვიდრე თვით სკოლა მოაწყობდეს სეტყვასთან საბრძოლველ ზარბაზნებს... შემოსავლის წმინდა მოგება ყოველ წლივ იყოფა ორად: ერთი წილი ჩაირიცხება სკოლის სათადარიგო თანხაში, ახალის მამულის სასყიდლად, ახალის საქმის მოსაწყობად თუ ზარალის აღსადგენად და სხვ. ხოლო მეორე წილი იყოფა თანასწორად ყველა მასწავლებლებს შორის და დანარჩენ მოსამსახურეებს-კი დაენიშნებათ ჯილდოები.

იოანე როსტომაშვილი.

ჩვენებური ამბები

ს. ქვალონი (ზუგდიდის მაზრა). ს. ქვალონი ახალ სენაკიდგან 9 ვერსის მანძილზეა, დასავლეთის მხრით. მშვენიერი კოპწია სოფელია. ორის საათის განმავლობაში მთლად შემოივლით მთელს ქვალონს. აქ სახლობენ თავად-აზნაურნი და გლეხნი 500 კომლამდე. თავადი ჩიჩუები, აზნაური ლოლუები, ნარაკიძეები და გვათუები. სხვა სოფლებთან შედარებით აქ სიღარიბე არ არის და არც მიწა-ადგილი ძვირობს. აქაური გლეხი ძლიერ გულმოდგინედ მუშაობს სათავად-აზნაურო მამულს.

სწავლა-განათლების საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. არსებობდა ერთ კლასიანი, სასოფლო სამინისტრო სასწავლებელი, ეხლა, აგერ ორი წელიწადი იქნება, ორ კლასიან სასწავლებლად იქმნა გადაკეთებული. სასწავლებელს აქვს მშვენიერი კოპწიად შემოღობილი ეზო, რომლის ირგვლივ ჩარგულია მშვენიერი ხეები.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ჩვენს სოფელში სამკითხველო-წიგნთ-საცავი თავის დღეში არ ყოფილა და არც ეხლა გვაქვს. ჩვენს სოფელში სულ სამ კაცს მოსდის გაზეთი.

აქ არსებობს სამი სავაჭრო დუქანი. დუქნებში იმდენი ვაჭრობა არაა, რამდენიც ბანქოს თამაში. თამაში გამართულია დილიდგან საღამომდის, საღამოდგან შუაღამემდის. რომ ჰკითხოთ რად თამაშობთ ბანქოსაო, ასე გიპასუხებენ: აბა, რა ვქნათ, რომ არ

ვითამაშოთ, რითი შევიქციოთ თავი, სამკითხველო არა გვაქვს, არ გვაქვს ჟურნალ-გაზეთები, რომ იმათ კითხვით გადავიყოლოთ გული. სწორედ დიდი სამადლო საქმე იქნება ვინმე იკისრებდეს სამკითხველო-წიგნთ-საცავის დაარსებას. მსურველნი კითხვისა ბევრნი არიან, თუ ვინმე ითავებს ამ საქმეს.

ქვალონელები და სხვა მახლობელი სოფლელები დღემდის ძლიერ დაშორებულნი იყვნენ რკინის გზის სადგურს, თუმცა ქვალონს უვლის ფოთის რკინის გზა.

ერთად-ერთი სადგური იყო აქაურებისთვის ახალ-სენაკის სადგური, და საზოგადოება იძულებული იყო 9—10 ვერსი ეარა სადგურამდის და ხანდისხან ვერც-კი უსწრებდნენ მატარებელს. ახლა ბედმა გაგვიღიმა: აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც აქ დაარსდა სადგური ბ-ნ გერასიმე ლოლუასა და ალექსი დეისაძის შუამდგომლობით. აქ აშენდა მშვენიერი ქვის შენობა სადგურად, სადაც შეუძლიანთ მგზავრებს დაისვენონ და დაუცადონ მატარებლის მოსვლას. მატარებელი ჩერდება მთელს 10 წუთს, ასე რომ მგზავრებს შეუძლიანთ უხიფათოდ და უშიშრად მატარებელში შესვლა-გამოსვლა ყოველ ბარგი ბარხანით. აქვე დაარსდა სავაჭრო დუქნები, გაიმართა ვაჭრობა ხე-ტყისა. ვაგონებით იგზავნება აუარებელი შეშა ტფილისსა, ფოთსა და ბათუმში. აქ გამოჩნდნენ მოიჯარადრენი ხე-ტყისა და ამით, როგორც მოიჯარადრენი, ისე ტყის პატრონებიც სარგებლობენ; აქ დასახლდნენ ბევრი ახალი მოსახლენი, სხვათა შორის 5 მოსახლე რაჭველნიც არიან, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს ახალ-მოსახლენი ეკლესიას დაშორებული არიან. თუმცა ორი მშვენიერი ეკლესია გვაქვს, მაგრამ ამათვის შორსაა, სამი ვერსია ეკლესიამდის და გზებიც უხერხულია.

ორის წლის წინად მცხოვრებლებს მოლაპარაკება ჰქონდათ, დაარსებულიყო მათთვის ეკლესია; ალექსი დეისაძემ ეკლესიისთვის მიწა უფასოდ დაუთმო აქაურ მცხოვრებლებს, ეხლა კიდევ იმედი გვაქვს ალ. დეისაძე ამ ეკლესიისთვის გასაშენებელ ხე-ტყის მასალასაც უფასოდ დაუთმობს.

ამ ხელად აქ სასიამოვნო ამბავი გახლავთ. ახლად დამტკიცებული შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა, გზა შუა ქვალონში გაივლის და ისე უერთდება სადგურს ახალ-სენაკს. ქვალონის საზოგადოებამ თხოვნა გაუგზავნა მთავრობას, რომ ქვალონში ფარდული (პლატფორმა) დაარსდეს, და იმედი გვაქვს შეწყნარებულ იქნება ჩვენი თხოვნა.

წელს ჩვენში მოსავალს კარგი პირი უჩანს: სიმინდი, ღომი და ქვავი კარგია, ყურძენიც კარგად ასხია ვაზს. ჩვენში გლეხები უფრო ეტანებიან, სიმინდის მოყვანას, პურს ძლიერ იშვიათად სთესავენ. მოხუცნი გლეხნი ამბობენ, უწინდელ დროში პური და ბრინჯი აქეთ კარგა მოდიოდა და ახლაც კარგად უნდა მოვიდესო; ერთი მხრით ქვალონში არის ვაკე და ჭაობიანი სათოხნელი ადგილები. ამ ადგილებს სახელი ჰქვიან „ორზე“ მეგრულად ბრინჯს ქვია „ორზა“. ალბად, ძველად ამ ადგილებში ბრინჯს სთესავდნენ და იმიტომ დარქმევია ამ ადგილებს ეს სახელი.

შარშან ერთმა გლეხმა დასთესა ნიმუშად ბრინჯი და კარგი მოსავალი მოუვიდა. სასურველია გახშირდეს ჩვენსკენ ბრინჯის მოყვანა, კარგია მთავრობა ჩაერეოდეს ამ საქმეში და დახმარებას აღმოუჩენდეს ხალხს ამ საქმეში.

ყარამან ნარაკიძე.

—

სოფ. ძველი-გავაზი (თელავის მაზრა). საზოგადოდ ყველა საქმე, რაც-კი სოფლის ინტერესს შეეხება და მისი აუცილებელი საჭიროება, სოფლის საზოგადოების ყრილობაზედ უნდა გაკეთდეს. მამასახლისის არჩევა, მის თანაშემწისა და სხვა-და-სხვა სოფლის ყრილობის საქმეა. არა ნაკლებ საყურადღებო იყო საზოგადო ყრილობა, წარსულ მაისის ოთხში მოსალაპარაკებელი საქმე. ჩვეულებისამებრ ყრილობა მოჰყვა სოფლის კანცელარიაში, ყრილობაზე თითქმის მთელის სოფლის ხალხი იყო. უნდა დაედგინათ: გსთხოვოთ თელავის მაზრის უფროსს, გვიშუამდგომლოს ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ შეგვიცვალოს მაღაზიაში შესატანი კაცის თავზედ ფუთის პურის გარდასახადი ფულით, ე. ი. სამი აბაზი გვახდევინონ. ეს ითქვა და მაშინადვე დაადგინეს განაჩენი, თელავის მაზრის უფროსთან გასაგზავნი. განაჩენზედ ხელი მოაწერა თითქმის 900 კაცზედ მეტმა.

ბევრმა უკვე იცის, თუ ეს მაღაზიები (პურის ბედელი) რისთვის შემოიღეს და რისთვის იხდის გლეხობა მაღაზიის პურს. დაწესებულია კაცის თავზედ კოდი პური მაღაზიაში შესატანად; ყველა გლეხს, ვისაც პური არა ჰქონდა, შეეძლო ფუთზედ 14 შაური გადაეხადნა მაღაზიის სასარგებლოდ, სულ მთელ კოდში-კი 2 მან. 10 კაპ. ამ რიგად მაღაზიაში დიდ-ძალი პური ჰგროვდებოდა, ყოველ წლივ თითქმის 700—900 კოდამდის. თუ საჭიროება მოითხოვდა, გლეხობა ასესხებდა ამ პურს სარგებლით ისევ ხალხსვე, ან კიდე, თუ საჭირო არ იყო, მოგროვილ მაღაზიის პურს ჰყიდდა, აქცევდა ფულად და ინახავდა ხაზინაში თავისვე სოფლისა ხელზედ. ყოველ წლიწადს მაღაზიის პური უნდა გაეიდულიყო და ფული შეეტანათ ხაზინაში საჭიროების დროს მოსახმარად. შემდეგ კოდის პურის გარდასახადი შეიცვალა ნახევარ კოდათ, ე. ი. კაცის თავზედ ყველა სოფლის მცხოვრებს მაღაზიაში შეჰქონდა კოდის პურის მაგიერ ნახევარი კოდი. კიდე, რამდენიმე სამე წლის შემდეგ, ნახევარ კოდის პურის გარდასახადი შეიცვალა კაცის თავზედ ერთ ფუთ პურად.

მოგვყავს აქ იმ თხოვნის შინაარსი, რომლითაც სოფელ ძველ-გავაზის საზოგადოება სთხოვს თელავის მაზრის უფროსს შუამდგომლობას ტფილისის გუბერნატორთან მაღაზიის პურის გარდასახადის შეცვლის შესახებ: რადგან ჩვენს საზოგადოებას ძალიან ცოტა სახნავ-სათესი მიწა აქვს და მოუსავლობაც ბევრჯელ გვეწვევა ხოლმე, რის გამოც გვიძნელდება ყველა ხარჯებთან გარდასახდელად კაცის თავზედ მაღაზიის სასარგებლოდ თითო ფუთი პურის გაღება, ამისათვის გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ, ეს გარდასახადი ფულად შეგვიცვალონ, 60 კაპ. გვახდევინონ, რასაც ყველანი შევსძლებთ.

კოტე ალაზნისპირელი.

—

დ. ხონი- ძალიან გაჭირვებაშია აქაური ბიბლიოთეკა ამ ხანად, და თუ ვინმე მშველელი დროზე არ გამოუჩნდა, სამუდამოდ განუტევებს სულს. იცოცხლეთ, მისნი მმართველნი და მოღვაწენი თავ-გამოდებით იცავდნენ კრებაზე ბიბლიოთეკის ინტერესებს; გარეშე კაცს, რომ შეეხედა ამათთვის, იფიქრებდა რა საზოგადო საქმეს უნდა გაუჭირდეს ასეთ მშრომლების ხელშიო“, მაგრამ ეს კრებაზე იყო მარტო, მერმე კი არვის აუტკივება თავი იმისთვის. ამ დალოცვილის შვილებს, თავი ისე მოაქვთ თითქო დიდ რამეს აკეთებდნენ ბიბლიოთეკისთვის და იმას-კი არ ფიქრობენ, რომ ცარიელ სიტყვებით არასფერი ეშველება და მალეც მოიხურება თუ დროზე არ იმეცადინეს მის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ჯერ კიდევ ერთი წლის წინად კრებამ დაადგინა გამართა ორი წარმოდგენა ბიბლიოთეკისთვის, მაგრამ ეს დადგენილება დარჩა „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. ეს ბიბლიოთეკა რომ გაუქმდეს, დიდი სირცხვილი იქნება მთელ ხონელებისთვის, განსაკუთრებით-კი, მის მმართველებისთვის, რადგანაც ეს მათის სიზარმაცის ნაყოფი იქნება.

აგერ რამდენიმე წელიწადია რაც, აქაურ ბაზარში იკრიბება გადასახადი. შემოტანილ სანოვაგეზე, ხე-ტყეზე, კირზე და სხვაზე; წელიწადში, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, 300—400 მან. შეიკრიბება და სად იხარჯება, ან სად მიდის არაფერი ვიცით!... ფარნების ასანთები, ყარაულების ჯამაგირი, და ნაგვის გასაზიდ ფულებს ცალკე ჰკრეფენ ვაჭრებისაგან, და ეს ფული-კი რას ხმარდება, ძლიერ საჭიროა შევიტყოთ!... თუ ვინცობაა ეს ფული შენახულია და არაფერს ხმარდება, შეგვიძლია გადავცეთ ბიბლიოთეკა საკვირაო სკოლას, და ავიხსნათ ორივე იმ განსაცდელისაგან, რომელიც მოელის. იმედია, დეპუტატები გაისარჯებიან და გვაცნობებენ ამ ფულის შესახებ ყოველსავე, რაც შეიძლება მალე.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ შემდეგი: ფულს აგროვებენ ყველანი—ყარაულები და დეპუტატები უკვიტანციოთ, რის გამოც ერთი და იგივე სოფლელი ხანდისხან ორჯერ იხდის. მე ბევრჯერ შევხვედრივარ, რომ სოფლელი ეუბნებოდა ყარაულს: „ერთხელ ქე გამომართვი შე დალოცვილო და ეხლა მეორეთ მართმევ სირცხვილი არ არისო?! თუ გინდ ვსთქვათ, რომ მეორედ არ გამოართმევენ, ვინ არის იმის თავდები, რომ ყველა ყარაული კეთილ-სინდისიერად წარუდგენს ფულს დანიშნულ კაცს?.. ფულს უნდა ჰკრეფდნენ კვიტანციებით, ასეა წესი და რიგი.

პარკის მაზანდა 17—19 მ. 40 კ. იყო აქეთ და კარგი მოსავალიც იყო. რასაკვირველია, ასე ფასის აწევის საქმეში დიდი შრომა მიუძღვის „ქუთაისის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას“, და „კოდხიდას“. ეს ორი ამხანაგობა რომ არ ყოფილიყო, პარკის ფასი 14 მ. არ ასცილდებოდა.

სოფლებიდან, აქ მცხოვრებმა, მასწავლებლებმა იწყეს ჩამოსვლა. ისინი როგორღაც გაურბიან ყოველსავე საზოგადო საქმეს. გარდა-სამიოდ-ოთხიოდესი. აი მაგალითად, აქაური საკვირაო სკოლა არც ერთ მათგანს არ აინტერესებს და არც სურთ ასწავლონ... არ ვიცი, რითი უნდა აიხსნას მათი ასეთი ქცევა. კარგად იციან, თუ რა სარგებლობა მოაქვს სკოლას და მონაწილეობა-კი არ უნდათ მიიღონ... ჯერ-ჯერობით სამი-ოთხი მასწავლებელი განაგრძობს სწავლებას და შემდეგ კი, არ ვიცი, როგორ იქნება საქმე.

Alliensc.

კავკასია

ქ. პეტროვსკი. მოვიდა ბანაობის დრო. მთელი, დღე დილით-საღამომდე, მოფენილია ზღვის ნაპირი მობანავეთაგან. აღმოსავლეთის მხარე ქალაქისა კარგა მანძილზეა საბანაოს შენობიდან და, რასაკვირველია, რომ საშინელ პაპანაქებაში სიარული ამ სიშორეზე არავის ეპაშნიკება, რის გამოც აქავე ნაპირას ბანაობენ. მაგრამ კაი ამ ბანაობას. ორისავე სქესის საბანაოები თითქმის ერთმანეთზეა მიკრული, ასე 15—17 ნაბიჯის მანძილზე. უსაქმო, არა-მკითხე მატრაკვეცები სხედან დილით-საღამომდე და რას არა შვრებიან; მათ უწმაწურ ყბედობას და უზდელობას საზღვარი არა აქვთ; მოაქვთ ფოტოგრაფიული აპარატები და ურცხვად იღებენ სურათებს სხვა-და-სხვა პოზაში მყოფთა. მგონია თვითმართველობას დარაჯი ჰყავს დაჭერილი, მაგრამ ეს ვაჟბატონი არც დილით და არც საღამოთი თავის დანიშნულებას არ ასრულებს.

აგრეთვე მოდიან მოსარეცხე მანდილოსნები და იქ, სადაც კაცები ბანაობენ, რეცხამენ სარეცხს. კარგი იქნებოდა, რომ ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიექცია, ფიცრის კედლით გაეყოთ ეს ორი საბანაო, და მით დედათა სქესი ეხსნათ ამ მატრაკვეცების თავხედობისაგან.

ეგ კიდევ არაფერი. მაგაზე უარესს ბაღში იხილავთ. საღამოთი, სეირნობის დროს, როცა 9 საათი გახდება, მობძანდებიან საეჭვო ყოფაქცევის ქალები, პირველ განათებულ სკამს დაიჭერენ და ელოდებიან მუშტარს. მუშტარიც მალე გამოჩნდება და მოჰყვებიან ხმა-მაღლა ვაჭრობას, ესმის ყველას, ესმის, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს. ან იქნება შეეჩვივნენ კიდეც და ჰგონიათ, რომ ეს აგრე უნდა იყოსო.

ნიკო ტასიკოშვილი.

რუსეთი

„კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია, რომ შემსუბუქებულია სასტიკი ზომები, რომლითაც კატორღაში და ციმბირში გაგზავნილები ფიზიკურად ისჯებოდნენ. დიახ, შემსუბუქებულია ეს სასტიკი ღონისძიებანი და არა სრულიად გაუქმებული, როგორც გაზ. „Бир. Вѣд.“-ს „Новости“-ს, „ცნ. ფ.“ და სხვა გაზეთებს ჰგონიათ. ერთი უსასტიკესი სასჯელთაგანი არის წკეპლების დაკვრით დასჯა. წკეპლები-კი ისევ ხმარებაში იქნება, ადამიანს ისევ გააწვენ-გააშიშვლებენ და სხეულს ისევ დაუსისხლიანებენ და დაულილავებენ.

მაგალითად, სულ მცირე დანაშაულისთვის კატორღაში გაგზავნილებს ასჯერ დაჰკრამენ ხოლმე წკეპლებს. ექიმმა უნდა შეამოწმოს, გასამათრახებილი აიტანს თუ არა მათრახებით ცემას. თუ ვერ აიტანს, მაშინ მორჩენამდი აცდიან და როცა მორჩება, ისევ ის სასჯელი, ისევ ის მათრახები და წკეპლები... გაზეთები კი ასეთს ცვლილებას დიდის ამბით მიეგებნენ.

უცხოეთი

სერბია. ვაჭრობათა მინისტრ გეორგ გენჩიჩს შემდეგი აზრი გამოუთქვამს ეხლახან მომხდარ სახელმწიფო ცვლილების შესახებ.

„ალექსანდრე მეფეს მეტად უყვარდა ანაზდეულად მოქმედება. პირველი ასეთი საქციელი გახლდათ თავის თავის სრულ წლოვანად გამოცხადება, რის შესახებ ბაიბურშიაც არა ყოფილან რეგენტები. უდიდესი მამულიშვილი სერბიისა განსვენებული რისტიჩი მწუხარებით იტყოდა ხოლმე: მეფეს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ჩემთან თავის განზრახვის შესახებ, თორემ შევყრიდი საჩქაროდ სკუპშჩინას და კანონიერად ჩავაბარებდით სამეფოს გამგეობას; რა საჭირო იყო ძალადობაო.

ალექსანდრეს დაუდგრომელმა ხასიათმა და მოუფიქრებელმა მოქმედებამ მშობლებთან დამოკიდებულებაშიაც იჩინა თავი: ხან ერთს იწვევდა, ხან მეორეს და დასასრულ ორთავეს განშორდა. ასეთი ფუქსავატობა სამწუხაროდ ბოლომდე შერჩა მეფეს და ცუდი გავლენაცა ჰქონდა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაზე.

ამ ყოყმან-დაუდგრომლობის ბრალი იყო, რომ ალექსანდრეს ცამეტის წლის მეფობის განმავლობაში სერბიაში ხუთჯერ მოხდა სახელმწიფო ცვლილება და ოცზედ მეტი სამინისტრო გამოიცვალა.

სამინისტრო კრიზისი ისე ხშირი იყო, რომ ხალხი გონზედ მოსვლას ვეღარ ასწრებდა და ბოლოს დაჰკარგა რწმენა; ამასთანავე მეფემაც დაჰკარგა ზნეობრივი გავლენა ხალხზედ, მისი ნდობა და, რასაკვირველია, ყოველივე ნიადაგი გამოეცალა. არავინ უწყოდა, თუ ხვალ რა ელოდდა, ყველა თვალახვეულსავით ჰგრძნობდა თავსა, და ამ დროს რაღაც საუბედუროდ, მეფე კიდეც დაქორწინდა.

თავისი განზრახვა მხოლოდ ორის დღის წინად გამოამჟღავნა მეფემ (სხვა მინისტრებმა კიდევ უფრო გვიან გაიგეს); აი, სიტყვა-სიტყვით, რა პასუხი მოვახსენე მაშინ მეფეს: „თქვენო უდიდებულესობავ, ღვთის გულისათვის, მაგ საქმეს ნუ მოიმოქმედებთ! ეგ ქორწინება სამარცხვინო იქნება თქვენთვისაც და თქვენის ხალხისათვისაც, თუ მსხვერპლი საჭიროა, მზად გახლავარ თქვენს ფეხთ ქვეშ მოვკვდე, და მოვკვდები იმ რწმენით გამსჭვალული, რომ მეფეს ავაცდენ ბედითს გარდაწყვეტილებას, რომელიც საუკუნოდ თავს მოსჭრის მთელს სამშობლოს. უბრძანეთ, თქვენო უდიდებულესობავ, საწამლავით სავსე ფიალა მომცენ; წარბ-შეუხრელად დავსცლი, ოღონდ კი ხელი აიღეთ თქვენს განზრახვაზედ; მე კი სიამოვნებით მოვკვდები და თან ჩავიტან იმ წმინდა გრძნობას, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე“.

მეფე შეშფოთდა და ბრძანა:

— არა, მე თქვენ მაგას არა გთხოვთ. მაგრამ არ შემიძლიან უარ-ვყო ჩემი განზრახვა.

როდესაც მეფემ მანიფესტი გამოსცა თავის დაქორწინების შესახებ, ხალხი, და განსაკუთრებით მხედრობა, დიდად და დიდად აღელვებული იყო. რადგან მაშინდელი სამინისტრო გადადგა, ახალი კაბინეტი უნდა მოეწვიათ, მაგრამ არც ერთ ჩვენ სახელმწიფო მოღვაწეს არა ჰსურდა ახალ კაბინეტის წევრობა. სასახლეში მიიწვიეს სხვა-და-სხვა საპოლიტიკო მოღვაწენი და ყველა ემუდარებოდა მეფეს, რომ ხელი აეღო თავის საუბედურო გარდაწყვეტილებაზედ, მაგრამ ამაოდ! მეფემ არ შეისმინა ხვეწნა-ვედრება ერთგულ ქვეშევრდომთა.

რადგან მეფემ უხერხულად იგრძნო თავი, შეჰყარა მთელი ოფიცრობა (ეს მოხდა 1901 წ. ივლისის 11-ს), რომ მათი აზრიც შეეტყო და იგინი მაინც როგორმე დაეთათბირებინა. ოფიცრობას დივიზიის უფროსის გენერალ დიუკნიჩის მოთავეობით ისეთი თავზარი დასცა მეფის განზრახვამ, რომ ერთხმად გადასწყვიტეს სამსახურიდგან გასვლა და იქვე, სასახლეში უნდოდათ იარაღის აყრა და მეფისათვის მირთმევა.

ივლისის 11-ს, ღამით, როგორც იყო მეფემ შეადგინა ახალი სამინისტრო მეორე და მესამე-ხარისხოვან მოხელეთაგან, რომელთაც არავითარი ნდობა და გავლენა არა ჰქონდათ სამეფოში. მეორე დილით, რადგან ოფიცრობა ვერ დაიყაბულა, შეჰყარა ყველანი, აიღო ხელში სამხედრო წესდება და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

„მე ავად-მყოფადა მთვლიან; მაგრამ სრულიად საღადა ვარ და კარგადაც ვიცი, რასაც ვმოქმედობ: მე—უმთავრესი სარდალი ვარ მხედრობისა და თქვენგან ვითხოვ, რათა ხმაამოუღებლივ დაემორჩილოთ ფიცსა!“ ამასთანავე მეფემ წაიკითხა ფიცის ფურცელი, გაბრუნდა და წავიდა; ოფიცრობა კი სრულიად სდუმდა.

აი, დასაბამი იმ საშინელ ტრაღედიისა, რომელიც ამას წინად დასრულდა სასახლეში. მეფის შეუღლებას იმ ქალთან, რომლის წარსულიც ბელგრადში ყველამ კარგად უწყოდა და რომლისაგანაც სანუგეშოს არავინ არას მოელოდა, ზედ დაერთო „ახირებული ძეობა“ დედოფლისა, რომლის უშვილობაც ყველასათვის ეჭვს გარეშე იყო.

ხალხმა და მხედრობამ სასოება დაჰკარგა. მეტად უხერხულ, აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ ყველანი. ყველა საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწე და მამულიშვილი აღშფოთებული იყო და ნაღვლიანად გაჰყურებდა მომავალს.

საბრალო ალექსანდრე მეფე დრაგა დედოფლის მორჩილი მონა შეიქმნა, მისის ჩაგონებით და მახლობელთა შეწყობით შეუდგა დედოფლის ძმის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადების საქმეს. ამ აზრით მოახდინა უკანასკნელი სახელმწიფო ცვლილება, რომლის დროსაც სკუპშჩინის მიერ შემუშავებული და მოწონებული კანონები სრულიად უგულვებელჰყო და გააუქმა.

ნუ დავივიწყებთ, რომ მომავალ სახელმწიფო ცვლილების ხმებმა აიძულა ჩვენი ახალგაზდობა ბელგრადში სასახლის წინ მოეხდინა დემონსტრაცია, რომელშიაც ხალხიც მონაწილეობდა. პოლიციამ ტყვია დაუშინა და 12 კაცი მოჰკლა, რომელნიც იმ ღამესვე დაასაფლავეს მშობლების შეუტყობინებლად. დემონსტრაციის დროს პოლიციამ გამოიწვია ჯარებიც, რომელსაც აღტაცებულ „ჟივიოს“ ძახილით მიეგებნენ დემონსტრანტები. ოფიცრებმა უარი განაცხადეს,—ხალხს არ ვესვრითო; ამის გამო ოთხი ოფიცერი, სხვათა შორის კაპიტანი არანდელოვიჩი და პორუჩიკი მირჩიჩი, დააპატიმრეს. მრავალი ახალგაზრდობა დაატუსაღეს, ბევრი დემონსტრანტთაგანი ავსტრიის გარდაიხვეწა. სერბიის ჟურნალ-გაზეთობას სასტიკი ბრძანება მისცეს,—კრინტი არ დასძრათ ამის შესახებო.

მეფე დრაგა დედოფლის ჩაგონებით საზოგადოდ უდიერად ეპყრობოდა ოფიცრობას. ყველა ძველი დამსახურებული გენერლები, რომელთაც სახელი გაითქვეს „განმათავისუფლებელ“ ომის დროს და დიდად პატივსა სცემდა მხედრობაცა და ხალხიც, სრულიად განდევნა მხედრობიდგან და სამხედრო ტანთსაცმელის ჩაცმის ნებაც-კი არ მისცა, რადგან მათ სასახლის გეგმანი არ მოსწონდათ. მეფემ მხცოვანი გენერალი დიუკნიჩიც-კი არ დაინდო, ისე როგორც გენერლები ათანაცკოვიჩი, მიშკოვიჩი და სრეტკოვიჩი.

როდესაც სახელმწიფო ცვლილების წყალობით (მარტის 25-ს) თავიდგან მოიშორა სკუპშჩინა და სენატი, სადაც ლუნიევიცის კანდიდატურა სრულიად უნიადაგო იყო, მეფემ ახალი საარჩევნო კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც არჩევნების საქმე მარტოოდენ პოლიციის თვითნებობაზედ დამყარდა. ოპოზიციის დასები, რადიკალები და ლიბერალები, რომელთაც მთელი ხალხი მომხრეობს, იძულებულნი შეიქნენ ხელი აეღოთ არჩევნების მონაწილეობაზე ზემოხსენებულ დრაკონისებულ კანონის შიშით.

ამ დროს, რასაკვირველია, მაშინდელს მთავრობას არ გაუჭირდებოდა შედგენა უოპოზიციო სკუპშჩინისა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებდა ორი მესამედი იმ დეპუტატთა, რომელნიც ნეტარ-ხსენებულ გეორგიევიჩის სამინისტროს დროს წარმოადგენდნენ სკუპშჩინის უმრავლესობას. ამ ხალხის თავისებურ წარმომადგენელთა დასახასიათებლად ისიც კმარა, რომ თავის პირად სარგებლობისათვის თვითვე აღიარეს თავისი სამწლოვანი საკანონ-მდებლო მოღვაწეობა მუხთალ და ამაო მოღვაწეობად. აი, როგორი კაცები დასჭირდათ მემკვიდრეობის საკითხის გარდასაწყვეტად.

აგიტაცია ლუნიევიცის მემკვიდრედ დანიშვნის სასარგებლოდ სრულიად ცხადად ხდებოდა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს. ხალხი დრტვინავდა, რადგან ამ მემკვიდრესთან ერთად ახალი სამეფო გვარეულობა უნდა ასულიყო სერბიის ტახტზედ. მღელვარება უფრო სამხედრო წრეებში ძლიერდებოდა, თუმცა ის ოფიცრები, რომელნიც ცხადად გაჰბედავდნენ ლუნევიცას კანდიდატურის წინააღმდეგობას, მყისვე სამსახურიდგან უნდა გაეძევებიათ და მათ მაგიერ დრაგა დედოფლის ერთგულნი მომხრენი დაენიშნათ. გაძევებულთა შორის უმეტეს ნაწილად ნიჭიერნი და გამოცდილნი ოფიცრები იყვნენ, ზოგნი რაზმების უფროსად ნამყოფნი. გენერალ ლაზარ პეტროვიჩის რჩევითა და თაოსნობით შესდგა მთელი გუნდი სამხედრო ჯაშუშთა, რომელთა წყალობითაც სწორედ აუტანელი შეიქნა ოფიცერთა მდგომარეობა.

თუ გავიხსენებთ კიდევ იმ მთელ წყებას სხვა-და-სხვა უკადრის მოქმედებათა, როგორც მაგ., განზრახ მოგონილი ცრუ-შეთქმულობა ალავანტიჩისა, რომელიც ჩვეულებრივი ჯაშუშ-წამქეზებელი აღმოჩნდა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ძველის მთავრობის საშინელს აღსასრულს მრავალი მიზეზი ჰქონდა.

ჩვენ ვწუხვართ, რომ საბრალო ალექსანდრე მეფეს ასეთი ბედი ხვდა, მაგრამ რაც იყო, იყო, ეხლა აწმყოსა და მომავალზედ უნდა ვიფიქროთ.

1868 წელს თ-დ მიხეილის მოკვლის შემდეგ სერბთა დინასტია დავის ასპარეზად გახდა. ჯერ დიდ სახელმწიფოთათვის რა სამძიმოა ორ დინასტიათა დავა და ასეთ მცირეთათვის, როგორც სერბიაა, რაღა უნდა იქნებოდა! 1868 წელს აქეთ ყოველი მთავრობა მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებდა დინასტიის დამკვიდრებას, რომელიც თავის მხრივ არამც თუ ხელს არ უწყობდა მთავრობას ამ საქმეში, პირიქით,—უფრო უძნელებდა. რა საშინელი წამები გამოიარა სერბიამ ამ ხნის განმავლობაში! გაიხსენეთ ძმათა შუა ბრძოლა ბულგარიასთან, განხეთქილება ნატალია დედოფალთან, რომელსაც მოჰყვა მეფესთან გაყრა, დედოფლისაგან შვილის ძალდაძალ წართმევა ვისბადენში, გაძევება ნატალია დედოფლისა, სერბიის ყოველ სამოქალაქო საქმეთა უარ-ყოფა მილანის მიერ, დასასრულ ალექსანდრეს დაქორწინება და ამის გამო ნატალია დედოფლის მართლ-მადიდებლობაზედ ხელის აღება. ხალხის ტანჯვათა ფიალა აივსო, და მსვერპლი, რომელიც ხალხმა მომავლის საკურთხეველზე მიიტანა, უთანასწორდება იმ სიკეთეს, რომელიც დაიმსახურა და რომლის იმედიცა ჰქონდა ხალხსა.

დინასტიის საკითხი ეხლა აღარ არსებობს, სერბიას ამიერიდგან მხოლოდ ერთი სამეფო საგვარეულო ჰყავს. ერთხმად არჩეული პეტრე მეფის პიროვნება, რომლის წინაპართაც ესოდენი ღვაწლი დასდეს ჩვენს ერსა, რასაც ხმა მაღლად ჰღაღადებს ჩვენის ისტორიის ფურცლები, საუკეთესო თავმდებია, რომ სერბიას მის ხელში ეღირსება წესიერება და

მალე დაადგება თავის ეროვნულ კულტურულ და ეკონომიურ განვითარების გზასა“. ამ სიტყვებით დააბოლოვა თავისი მეტად საგულისხმო ბაასი გეორგ გენჩიმა.

ნარკვევი

„პეტერბურგის უწყებებში“ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წიგნია გარჩეული: როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიის სახალხო სკოლა“. მოგვყავს სავსებით პატივცემული გაზეთის აზრი ზემო დასახელებულ წიგნის შესახებ:

„ცნობილი ქართველი პედაგოგი ი. ს. გოგებაშვილი თავის წიგნში: როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიის სახალხო სკოლა, ასახელებს შემდეგ მავნე მხარეებს პირველ დაწყებით განათლებისას კავკასიაში:

ერთი უმთავრესი მიზეზი კავკასიის სახალხო სკოლის უნაყოფობისა არის დედაენის განდევნა სკოლიდან. ბავშვის გონებრივ ძალთა გაღვიძება, მისი აზროვნებითი ნიჭისა და გამჭრიახობის განვითარება, რა თქმა უნდა, თავის თავად ბედნიერებაა და სიკეთეა, მაგრამ ამავე დროს ერთი უსაჭიროესი პირობაა საგნების სწავლებისა სკოლაში. ეს გამოფხიზლება და განვითარება ბავშვისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირველ დაწყებით სკოლაში ბავშვს ესმის საგნების სწავლა და განმარტება მშობლიურ ენაზედ. არსად და არასოდეს სკოლას თავის განმანათლებელი მიზნისთვის არ მიუღწევია, როცა სცდილა ხალხი გაენათლებია უცხო და გაუგებარ ენის საშუალებით. პირიქით, სკოლა მაშინაა წარმატებაში, როცა ბავშვებს ესმის მშობლიური სიტყვა, მშობლიური ენა. ამიტომ სრულიად მართალი იყო ნევეროვი როცა წარმოსთქვა: „არ არსებობს განათლება, თუ დედა ენა კარგად არ იცი, რომელიც იარადია აზრის გამოსახატავად“. ეს დიდად განათლებული პედაგოგი ამ აზრის იყო არა მარტო თეორეტიულად, არამედ მუდამ სცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებია თავის შეხედულება სწავლების შესახებ.

მეორე მიზეზია ის, რომ დედა ენაზედ წერა-კითხვა—არა სავალდებულო საგანს შეადგენს. დედა ენაზედ წერა-კითხვა არა მარტო არსებითი საჭიროებაა მცხოვრებთათვის, ამავე დროს ხელსაც უწყობს რუსულ წერა-კითხვის შეთვისებას. როცა მშობლიურ წერა-კითხვის სწავლებას წინ უსწრებს რუსულ წერა-კითხვის სწავლებას, მაშინ რუსულ ენას უფრო ჩქარა, უფრო კარგად ითვისებენ ბავშვები. საქართველოში, მაგალითად, იშვიათად შეხვდებით ქართულის წერა-კითხვის მცოდნეს რუსულიც არ იცოდეს, ქართულ წიგნებიდან ბავშვები სრულიად ბუნებრივად გადადიან რუსულზედ. დედა ენის ცოდნა ის საფუძველია, რომელზედაც შენდება შემდეგში რუსული ენის შესწავლის მკვიდრი ნიადაგი. როცა ეს ასე არ ხდება, რუსული ენის შესწავლას არავითარი ნიადაგი არ ექმნება და, როგორც ბ-ნი უშინსკი წინისწარმეტყველებს, რუსული ენა ითქვიფება და იდუპება უცხო ხალხთა სოფლებში. ამ გაქრობას რუსულის ენისას უცხო სოფლებში ძლიერ ხელს უწყობს ერთი გარემოება. რუსულ ენის სწავლების წარმატება იმაზედაცაა დამოკიდებული, თუ მშობლები როგორ ეყურებენ რუსულ ენას. ეს დამოკიდებულება-კი იმაზეა დამყარებული, თუ რამდენად პატივს სცემენ სამშობლო ენას და რა ადგილი უჭირავს მას სკოლაში. ბუნებრივია, კანონიერი გრძნობაა, როცა მცხოვრებთ უყვართ თავისი ენა, უიმისოდ მას ცხოვრება არ შეუძლიან, მისი სულიერი, ბუნებრივი და ქონებრივი განვითარება ამ ენაზეა დაურდნობილი, ამავე დროს ხალხი სცდილობს შეითვისოს და შეისწავლოს სახელმწიფო ენა. მშობლიური ენა აყვარებს ხალხს სახელმწიფო ენას. როცა სკოლიდგან ადგილობრივი ენა განდევნილია, ამას აშკარად გრძნობს და ამჩნევს ხალხი და ძალაუნებურად მტრულის თვალით უყურებს სახელმწიფო ენას, რაიც ხელს უშლის და აფერხებს სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში“.

ნარევი და ნაკვესი

ამერიკელები ირწმუნებიან, რომ მათ შორის ბრუკლინში ცხოვრობს ობრენოვიჩის შთამომავალი, რომელსაც შეუძლიან გამოაცხადოს თავისი უფლება სერბიის ტახტზედ. ეს კაცი თურმე ბრუკლინში ღვინითაც ვაჭრობს კოჩიანჩიკის სახელით. მისი წინაპარი ყოფილა გენერალი და „კუზნიონიმი“ სერბიის მეფისა მე-XIV საუკ.ის სიკვდილით იქმნა დასჯილი ოსმალეთის სულთანის მოკვლის გამო, ხოლო სხვა ოჯახის წევრები-კი სერბიიდან განუდევნიათ. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლიან დაამტკიცოს თავისი ტახტის მემკვიდრეობა სხვა-და-სხვა საბუთებით, ამ ღვინით მოვაჭრეს არა სურს გასცვალოს თავისი ხელობა მეფობაზედ, ვინაიდგან „მეფის ხელობა“ ძლიერ სახიფათო საქმეაო.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ქვემორე მოყვანილი წერილი „კვალი“-ს რედაქციას გავუგზავნეთ დასაბეჭდად, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, „კვალი“-ს გამოსვლა შესწყდა და ამიტომ გთხოვთ ადგილი უბოძოთ ამ წერილს თქვენს გაზეთ „ივერია“-ში.

ბ-ნ აჯიამამულოვს ძალიანა სწყინს, როდესაც იმის წინააღმდეგ სიმართლეს აღიარებენ, ხოლო თავისი ნათქვამი ყოველივე წმიდათა წმიდათ მიაჩნია. „კვალის“ მე-17 ნომერში კვლავ უძღვნია ჩვენთვის წერილი და გვირჩევს, რომ ჩვენ შორის ატეხილი დავა თელავის ბიბლიოთეკის შესახებ სამედიატორო სამართლით გავათავოთო. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ვაძებნით ბ-ნ აჯიამამულოვს კაცი, რათა თანხმობა განგვეცხადებინა სამედიატორო სამართალზედ, მაგრამ იმისი კვალი უკვე გამქრალიყო. ზოგმა გვითხრა, ქალაქს წავიდაო, ზოგმა—კავკასიაო. ჩვენ არ შეგვიძლიან, ბ-ნი აჯიამამულოვი ვეძებოთ, რომელიც სხვა-და-სხვა ქალაქებს მეტეორივით ევლინება და ამიტომ ამით ვაცხადებთ თანხმობას სამედიატორო სამართალზედ. ჩვენის მხრივ მოსამართლეებად ვასახელებთ იმათ, რომელნიც უნდა დასწრებოდნენ ბიბლიოთეკის გადმოცემას, სახელდობრ ბ-ნთ მარკოზაშვილს და სირბილაძეს. ხოლო ჩვენგან წამოყენებულ საგნებს და მოხსენებას მოსამართლეთა კრებას დანიშნულ დროს წარვუდგენთ.

ვლ. ედილაშვილი.

ქველ მოქმედთა საყურადღებოდ.

მესამე თუმანოვის ქუჩაზე, დავიდოვის სახლებში სცხოვრობს ერთი უმწეო ქვრივი ბაბალე ჯავახიშვილისა. საბრალო ავადმყოფს ადამიანს ოთხ-ოთხი ქორფა შვილები უფროსი თორმეტის წლისაა, მეორე რვისა, მესამე 4-სა და მეოთხე წლისა. სიმშილით ეხოცება და მათი პატრონი-კი არავინ არის. ყოველ გვარ შემოწირულებას გულ სავსებით მიიღებს დაობლებული ოჯახი და სრული იმედიცა გვაქვს, რომ გულ შეპატკივარი და ქველ-მომქმედი ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ ყოვლად უბედურთ. აი ადრესიც: 3-ая Тумановская улица, д. Давидова Варварѣ Джаваховой

„ივერიის“ ფოსტა

დ. ხ—ს. ს. მ. ათ ბ—ძის. თქვენი ლექსები „გრ. აბაშიძის სიკვდილზედ“ და „ვუძღვნი სატრფოს“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 ივნისი.

სტამბოლი. ბულგარიაში ისმის ომიანობის მომხრეთა ხმები. როგორცა სჩანს აწონ-დაწონვაში არიან და ფიქრობენ, რომ იქნება ეგ ომიანობა საუკეთესო საშუალება იყოს დღევანდელ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსვლისათვისაო. უკანასკნელ დღეებში ხმები დადის, რომ ვითომ ბულგარია ემზადება ომისათვისაო. აქაურნი დიპლომატნი ერთ ხმად ფიქრობენ, რომ მხოლოდ ერთი ბულგარია განიცდის ომის ყოველ გვარს შედეგსა და ვერც არავითარს ნაყოფს მოიმკის ვერც თავისთვის, ვერც მაკედონიისათვის, თუნდა ძლევა-მოსილიც გამოვიდეს ამ ბრძოლიდანაო.

ვენა. გამოცხადებულია იმპერატორის რესკრიპტი მინისტრ-პრეზიდენტის კერბერის მიმართ. რესკრიპტის თანახმად პირველ ივლისიდან 1903 წლისა 30 ივნისამდე 1904 წლისა დაწესებულია რაოდენობა იმისა, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ცალკე ავსტრიამ და ცალკე უნგრეთმა საზოგადო საიმპერიო ხარჯში.

ლონდონი. Times-ს აუწყებენ ტოკიოდან, რომ კორეის მთავრობამ ბრძანა გადიხადონ ნახევარი იაპონიაში შექმნილის გემის ფასისა და მიიღონ სასტიკი ღონისძიებანი იმ აგიტაციის დასათრგუნად, რომელიც მიმართულია იაპონიის ქაღალდის ფულის მუშაობის წინააღმდეგ კორეიაში. ამის გამო საპოლიტიკო ცა კვლავ მოიწმინდა.

სტამბოლი. მარშალი ომერ-რუჟდი-ფაშა, შაქირ-ფაშა, შემსი-ფაშა ორის ბატალიონით და შვიდის ბატარეით გუშინ მოვიდნენ დიაკოვიდან პრიზრენს. დღეს მოვიდა სერვერ-ფაშა ოთხი ბატარეით. ხვალ დაიწყება ომი მეამბოხე ალბანელთა წინააღმდეგ პრიზრენიდამ სამხრეთად.—პორტამ აუწყა ყოველივე რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის საელჩოებს ოსმალეთ-ბოლგარეთის შესახებ გეკტეფესთან. პორტა ამბობს, რომ კომისია სამხედრო და სამოქალაქო უწყების კაცთაგან გამოგზავნილია ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლათაო. პორტამ აუწყა რომ ბოლგარიის ჯუფთი დაესხა თავს სოფელს კოლანდირხებს, საცა ორი მაჰმადიანთა და ოცდა-რვა ბულგართა სახლია და ყოველივე გადასწვა. ბულგარნი მთებში გაიხიზნენო.

სტამბოლი. ბულგარიის მთავრობამ მიმართა ნოტით პეტერბურგსა, პარიჟისა და ვენის კაბინეტებს და აუწყა, რა უდიერობას კადრულობენ ოსმალთა ჯარები და მათი ბაში-ბუზუკები მაკედონიაში და რა გვარის უყურადღებობით მოეკიდა ოსმალეთის მთავრობა ამ ბოლოს დროს ბულგარიის წინადადებას ერთად ვეცადნეთ ქვეყნის დამშვიდებასაო; ესკი ამის მაგიერ მოქმედებს თავის ინტერესების საზარალოდაც და სამთავროს ინტერესების საზარალოდაცაო, ბულგარიის მთავრობა პროტესტს აცხადებს, რომ ჯარები იკრიბება სამზღვრად და თუ რამ შედეგი მოჰყვა ამას ჩვენ პასუხს არ ვაგებთო. პორტამ მიმართა თავის სამზღვარ-გარეთელ წარმომადგენლებს ცირკულიარით და აუხსნა, რომ ამას წინანდელი მცირე ოდნენი გაძლიერება ჯარებისა ბულგარსის სამზღვარზედ იმის ბრალია, რომ საჭიროა წინააღმდეგობა გაუწიოთ ბულგარიის ჯუფთების მიერ საზღვრების გადმოლახვასაო.

20 თიბათვე

სოფია. რაკი ოსმალეთი დიდს მზადებაშია და ჯარებს თავს უყრის საზღვარზედ, ბულგარიის მთავრობა იძულებულია მოუწოდოს სათადარიგო ჯარის კაცებს და მიიღოს გასაფრთხილებელნი ღონისძიებანი. უზენაესმა სამხედრო საბჭომ ილდიზ-კიოსკში გადასწყვიტა, რომ რამდენიმე გემი მზად იყოს ჯარის გადასასხმელად ბულგარიის კუთვნილ შავი-ზღვის ნაპირად. მიდიაში დამზადებულია სურსათი. საზღვაო უწყება და სამხედრო სამინისტრო დღესა და ღამეს ასწორებენ. ეს ორ-პირი მზადება, რომელსაც შეუძლიან მოსაზღვრე სახელმწიფოთა სურვილის წინააღმდეგ გამოიწვიოს კონფლიკტი და ომიც-კი, ძალიან აწუხებს დიპლომატებს. მაკედონიის მშვიდობიანობა მხოლოდ მოჩვენებულია. ყოველი შებრძოლება აჯანყებულთა და ოსმალთა ჯარის ერთმანერთს შორის იწვევს ფანატიკოსობას და დიდს აღტყინებას ჰბადავს ოსმალთა შორის. ბაშიბუზუკნი იმუქრებიან, რომ სულ გავსწყვეტავთ ქრისტიანეთა, თუ იმისთანა რამ მოახდინეს, როგორც სალონიკის ამბავი იყო, ანუ აღსდგნენ საყოველთაოდაო. გაზეთები განუწყვეტლივ იუწყებიან, რომ აქა და აქ იყო ბრძოლა ჯარისა და აჯანყებულ ჯუფთებისა, რომლებიც პირინის მთების ხეობათაგან გამოდიანო.

სოფია. ფინანსთა მინისტრმა აღკრძალა ცხენების გაყვანა საზღვარ-გარედ გასაყიდად.

სტამბოლი. ხონთქრის ირადეთი ებრძანა სმირნის ვალის, დაუყოვნებლივ გამოჰგზავნე 2 ბატალიონი საპიონერებისა და 4 ბატალიონი ქვეითის ჯარისა, რადგან საჭირონი არიან ევროპიის ვილაეტებშიო.—ოსმალეთ მე-2 და მე-3 კორპუსის კამანდირებმა მიიღეს ბრძანება, მზად იყავით სალაშქროდ, შეაკეთეთ ციხე-სიმაგრენი საზღვარზედ და ააგეთ ახალნი სიმაგრე—სანგარნიო. ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ჩუმ-ჩუმად ამზადებს ყოველსავე ამას.

ბელგრადი. მეფე პეტრემ სიტყვა წარმოსთქვა გუშინდელს სადილზედ და ბრძანა, რომ საერთო წარმომადგენლობისა და მთლად სერბიის ერის ერთსულობამ ისე იმოქმედა ევროპაზედ, რომ დღეს პატივისცემით შეჰყურებს სერბიასაო. შემდეგ მეფემ განმარტა თავისი აზრი სერბიის მომავლის შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველის ღონისძიებით ვიზრუნოთ ეკონომიურის ცხოვრების აღორძინებისა, საფინანსო მდგომარეობის განმტკიცებისა და ჯარის გაძლიერებისათვისაო.

პორტ-არტური. მოვიდა ელჩი კორეიაში პავლოვი. მოელიან ჩინეთში ელჩად მეოფს ლესარს.

პეკინი. ბანკირთა კომისიამ აუწყა დიდთა სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ჩინეთისაგან კუთვნილი ნახევარ წლის გადასახდელი ფული კონტრიბუციისა გუშინ იქმნა გადახდილი ვერცხლის დირებულობის დაგვარ, ჩვენ მივიღეთ, მაგრამ ისე პროტესტ-ქმნილ ვიყავით, როგორც რამდენსამე წინა შემთხვევაშიო.

ბერლინი. „Frankfurte Zeitung“-ს აუწყებენ სოფიიდან, რომ ბულგარიის მთავრობამ მიჰმართა პორტას ნოტით, რომელიც ფრიად ცხარე სიტყვებით არის დაწერილიო. მთავრობა სწერს, რომ საქმის ვითარება იმდენად სამძიმოა, როგორც არას დროს არ ყოფილა; ჩვენ იძულებულნი ვართ მივიღოთ ღონისძიებანი, რათა დავიცვათ თავი, რადგან შესაძლებელია შემოსევა ოსმალთა მხედრობისაო. ბულგარიის წარმომადგენლებს მთავრობა სთხოვს, იშუამდგომლეთ იმ მთავრობასთან, რომელთანაც ჯერ არს, რათა მან აიძულოს ოსმალეთი, ჯარებს აღარ აგროვებდეს და შემოიღოს დაუყოვნებლივ რეფორმებიო. ბულგარიის მთავრობა აცხადებს, რომ პასუხის გებას იცილებს თავიდან, თუ ვინიცობაა უმწვერვალესად გართულდა საქმეთა ვითარება და პორტამ ურესი ჯუფტობა გამოიჩინა და არ დასცხრა მისი ჩვენდა მომართ მტრული განზრახვანი.

ვენა. „Neue Freie Pesse“-ს ცნობით, არ შეიწყნარა თხოვნა მთელის სამინისტროსი სამსახურიდან გადადგომისა და მიიღო მხოლოდ თხოვნა სამსახურს თავ-დანებებისა ჩეხიის მინისტრის რეზეკისა.

კიოლნი „Kölniche Zeitung“-ი მსჯელობს ბოლგარიის საომარ აღფრთოვანების შესახებ და განსაკუთრებულის ყურადღებით აღნიშნავს, რომ ახლა აღარ შეიძლება ეჭვი ბოლგარიის ხელმძღვანელთა ომიანობის მომხრეობის შესახებაო. ბოლგარიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოველი ცდა მშვიდობიანობის დარღვევისა ერთსულობით იქმნება დაგმობილი ევროპის მიერ. ბოლგარია, უეჭველია, ჰგრძნობს, რომ, როცა მაკედონიის საქმის მოწეს-რიგებას ხლომობს, იგი სრულიად განმარტოებული დარჩება და ყველა ასე ეტყვის, ეგ შენა და ეგ მაკედონიის საქმეო, ისე რომ მხოლოდ მსხვერპლთა გაწირვა მოელის და მომკითა-კი ვერას გზით ვერას მოიმკის.

ბელგრადი. მეფემ დანიშნა წევრნი ახალის სახელმწიფოს საბჭოსი. პრეზიდენტად დანიშნულ იქმნა გენერალი საბა გრუიჩი, ეხლანდელი სერბიის ელჩი სტამბოლში, რომელიც წინად იყო ელჩად პეტერბურგში, ერთი მეთაურთაგანი დღევანდელ რადიკალთა დასისა; ვიცე პრეზიდენტად—რადოვიჩი, ხოლო საბჭოს წევრად—პაშიჩი, ვუიჩი, სიმიჩი და ველიმიროვიჩი, ყველა რადიკალები; საბჭოს სხვა წევრთა შორის 5 რადიკალია, 3 ლიბერალი და 3 საპრელნიაკად ნამყოფები.

შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა მეფე პეტრემ იმ სადილზედ, რომელიც გაიმართა სამეფო სასახლეში საერო კრების პატივსაცემლად. მეფემ აღსთქვა, რომ მთელს ჩემს ძალ-ღონეს შევსწირავ სერბიის ეროვნულ იდეალის განხორციელებასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
პარიჟის დისკონტი	5—6½ %
5% სახელმწიფო რენტა	98⅜ მყიდ
4% სახ. სესხი 1902 წ.	100⅞ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	95⅛ გაყ.
5%ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	441[illegible]/4 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9600 წვ. გაყ.
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 2[illegible] წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 24 ივნისს, 1903 წელს, შუადღის 12 საათზედ **მოხდება საჯარო ვაჭრობა**. უნდა გაიცეს იჯარით დამტვრეული ქვის შეგროვება გზატკეცილის მოსაფენად.

მსურველს პირობების გაშინჯვა შეუძლიან გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6—2)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 „
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 „
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 „
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 „
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 „
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა	5 „
აბრამის და იობის ლექსი	3 „
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 „
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სქვინჩა** { ხალხური ზღაპარი.	10 „

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

გარტეჯ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

(6—უ—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.